BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

დირექტორის წერილი

ძვირფასო მშობლებო და BGA-ის საზოგადოებავ,

ეს სემესტრი ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. საკლასო ოთახებში მიმდინარე სასწავლო პროცესის პარალელურად ჩატარდა არაერთი აქტივობა, ღონისძიება, სპორტული შეჯიბრება თუ საკლუბო შეხვედრა. პარასკევს დაწყებითი საფეხურის საშემოდგომო ფესტივალი ვუმასპინძლეთ, რომლის ფარგლებშიც ქველმოქმედებისთვის 10,800 ლარი შეგროვდა. სიტყვებით ვერ აღვწერ, თუ როგორი ამაყი ვარ ჩვენი მოსწავლეების, მათი ოჯახებისა და მასწავლებლების შრომითა და ძალისხმევით, რომელიც ამ ღონისძიებისთვის გასწიეს. სასიამოვნო იყო მორთული შენობის, ლამაზი კოსტიუმების, აქტივობებისა და ყოველი სტუმრისა და თანამშრომლის სახეზე ღიმილის ხილვა. აუცილებლად გაგაცნობთ ჩვენს გეგმას, თუ როგორ დაიხარჯება ფესტივალზე შეგროვებული თანხა ჩვენი მოსწავლეების მიერ შერჩეულ მაღალმთიანი რეგიონების სკოლების მხარდასაჭერად. ჩვენი მიზანია, დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ყოველი ქმედება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს იმ ბავშვების განათლებაზე, რომელთაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

ყველას გულწრფელ მადლობას გიხდით მუდმივი მხარდაჭერისთვის და, შეგახსენებთ, რომ ზამთრის მოახლოებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, საკუთარ თავსა და ჯანმრთელობას გავუფრთხილდეთ.

მშობელთა კონფერენციები 22 ნოემბერი

22 ნოემბერი მშობლებისა და მასწავლებლების შეხვედრების დღეა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებლობა გექნებათ, თქვენი შვილ(ებ)ის პროგრესზე მასწავლებლებს გაესაუბროთ და მათთან ერთად განიხილოთ კონკრეტული მხარეების გასაუმჯობესებელი ნაბიჯები. იმისთვის, რომ მოსწავლემ სრული პოტენციალის გამოვლენა და წარმატების მიღწევა შეძლოს, ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, ამიტომ მოგიწოდებთ, დროულად ჩანიშნოთ შეხვედრები შესაბამის მასწავლებლებთან.

შეხვედრის ჩანიშვნა შეგიძლიათ Edu-Page-ის გამოყენებით **(გაეცანით <u>შეხვედრის ჩანიშვნის ინსტრუქციას</u>)**. შეხვედრის ჩანიშვნის ბოლო ვადა **21 ნოემბრის 12:00 საათია.** გაითვალისწინეთ, რომ **<u>22 ნოემბერს აკადემიაში მოსწავლეებისათვის გაკვეთილები არ ჩატარდება.</u>**

სპორტული სიახლეები

გასული თვის მანძილზე დასრულდა საფეხბურთო გუნდების შერჩევის პერიოდი და დაკომპლექტდა ფეხბურთის ვაჟებისა და გოგონების ფეხბურთის U18 ასაკობრივი გუნდები, რომელთაც საერთაშორისო სკოლა QSI-სთან ამხანაგური მატჩები ჩაატარეს. სასიხარულოა, რომ ორივე გუნდმა იდენტური ანგარიშით - 5-0 - დაამარცხა მეტოქე გუნდი. ასევე, გაიმართა მე-3 და მე-4 კლასელებისთვის ამხანაგური მატჩი აკადემიაში არსებული LIONS-ის გუნდის წინააღმდეგ. თამაში ძალიან საინტერესო და მხიარული გამოდგა როგორც მოთამაშეებისთვის, ასევე მაყურებლებისთვის. ორივე გუნდმა კარგად წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები. საბოლოო ანგარიში 7-7 დაფიქსირდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ჩვენი საკალათბურთო გუნდის, Lions-ის ბრწყინვალე გამარჯვება ევროპულ სკოლასთან, ანგარიშით — 40:31. ორშაბათიდან, 11 ნოემბრიდან, ჩვენი გუნდი სასკოლო ლიგაში ჩაერთვება და თავის პირველ სატურნირო მატჩს გამართავს. აგრეთვე, ნოემბერში იგეგმება მეხუთეკლასელების ფეხბურთის, U16 ფრენბურთისა და U18 კალათბურთის ამხანაგური მატჩები.

ახალგაზრდა ასტრონავტების კოსმოსური მისია

ბრიტანულ-ქართული აკადემიის და ბრიტანული საერთაშორისო სკოლის მოსწავლეები ცოტა ხნის წინ დაუვიწყარი მოგზაურობიდან, იზმირის კოსმოსურ ბანაკიდან დაბრუნდნენ, სადაც სამი დღის განმავლობაში საკუთარ თავზე გამოსცადეს ასტრონავტების ცხოვრების ასპექტები და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მეცნიერულ ექსპერიმენტსა და ინტერაქციულ აქტივობაში. გარდა ამისა, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, მძლავრი ტელესკოპებით დაკვირვებოდნენ ციურ სხეულებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი სატურნზე დაკვირვება აღმოჩნდა. კოსმოსური მომზადების სიმულაციების ფარგლებში ჩვენმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს გუნდურ მისიებში, სადაც საჭირო იყო პრობლემების გადაჭრა და გუნდური მუშაობა – უნარები, რომლებიც ნებისმიერი კოსმოსური ექსპედიციის წარმატებისთვის აუცილებელია.





თვის რჩეულები

ლუკა კახიძე

გვსურს, სიამაყით გაგაცნოთ IB PD პროგრამის მე-12 კლასის მოსწავლე ლუკა კახიძე. ლუკა გამოირჩევა მონდომებით და სიბეჯითით, რაც სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში მის მაღალ აკადემიურ მიღწევებს განაპირობებს. ის აქტიურადაა ჩართული CAS-ის აქტივობებში. ლუკამ ერთ-ერთმა პირველმა დაასრულა და წარადგინა ძალიან საინტერესო თემაზე საუკეთესოდ შესრულებული Extended Essay (საკვლევი პროექტი). განსაკუთრებული სიამაყით გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ლუკას დამოკიდებულებაზე ბრიტანულ-ქართული აკადემიის ქცევის წესებისა და მისი უმნიშვნელოვანესი ღირებულებების მიმართ.

ეკატერინე არველაძე

ეკატერინე არველაძე IB PD პროგრამის მე-11 კლასის მოსწავლეა. მისი ქცევა და დამოკიდებულება ბრიტანულ-ქართული აკადემიის ძირითადი ღირებულებების მიმართ ყოველთვის სანიმუშო და მისაბაძია. ეკატერინეს ორგანიზებულება, თანმიმდევრულობა და ყოველდღიური მონდომება განსაზღვრავს იმ აკადემიურ წარმატებას, რომელსაც მიაღწია ეკატერინემ IB PD პროგრამის სრულიად განსხვავებული კურსის დაწყებიდან მოკლე პერიოდში. გვჯერა, რომ ეკატერინე მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას კიდევ უფრო შთამბეჭდავი აკადემიური შედეგებისათვის.

MAKER FAIRE

26 ნოემბერს საერთაშორისო სასკოლო ღონისძიება School Maker Faire გაიმართება, რომლის მიზანიც მოსწავლეებში შემოქმედებითობისა და გამომგონებლობის წახალისებაა. ტექნოლოგიური გამოფენა დაწყებითი და საშუალო საფეხურების მოსწავლეებს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) თემატიკის 30-ზე მეტ აქტივობას შესთავაზებს.

გარდა ამისა, BGA-ის 9-12 კლასების მოსწავლეებს ღონისძიებაში მოხალისეებადაც შეუძლიათ ჩართვა — ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა როგორც სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად, ასევე საუნივერსიტეტო აპლიკაციების გასამდიდრებლად. ფორმის შევსება **ამ ბმულზე 11 ნოემბრამდე** შეგიძლიათ.

School Maker Faire®
British-Georgian Academy
26
ნოემბერი

IB DP მნიშვნელოვანი თარიღები

2-10 დეკემბერი DP 2 შუალედური იმიტირებული გამოცდები

16-18 დეკემბერი DP 2 ქართული ენისა და ლიტერატურის ზეპირი გამოცდები

შიდა შეფასებები IB ნიშნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ მისთვის დიდი ყურადღების დათმობა და მომზადებაა საჭირო.

10-13 დეკემბერი DP 1 შუალედური გამოცდები

6-18 დეკემბერი DP1 ძირითადი სესიები ჩანიშნულია 1 სესიები ფოკუსირებული იქნება CAS პროექტსა და მოსწავლეების პროგრესზე ამ ნაწილში, საკვლევი პროექტის (Extended Essay) თემის შერჩევასა და წერითი სამუშაოს დაწყებაზე, უნივერსიტეტების განხილვასა და საგნების შერჩევაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები დაესწრონ სესიებს.

16,17,18 დეკემბერი 12 GEO- ქართული პროგრამის გამოცდები

საშობაო ბაზრობა

7 დეკემბერს, 12:00-დან 17:00-მდე თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის ორგანიზებით უკვე ტრადიციად ქცეული საშობაო ბაზრობა ჩატარდება. გელოდებით დიდებსა და პატარებს — ყველას, ვისაც ეს ჯადოსნური პერიოდი გიყვართ. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მეწარმეები და ორგანიზაციები, რომლებიც ნუგბარს, ხელნაკეთ ნივთებს, სამკაულებს, სამოსს, საახალწლო აქსესუარებს და სხვა ტიპის პროდუქციას გაყიდიან. თუ დაინტერესებული ხართ საშობაო ბაზრობაზე მონაწილეობით, შეგიძლიათ **ეს ფორმა** შეავსოთ. სხვა შემთხვევაში კი შეგიძლიათ სტუმრის რანგში გვეწვიოთ და ჩვენთან ერთად გაიზიაროთ სადღესასწაულო განწყობა. ღონისძიებიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება ქველმოქმედებას.

დილის შეხვედრა: მოსწავლეთა ქცევის კოდექსი

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში მოსწავლეების მიმართ სანიმუშო ქცევის მოლოდინი არსებობს, რადგან ეს ხარისხიანი განათლებისა და მოსწავლეების კეთილდღეობისათვის აუცილებელი წინაპირობაა. სასწავლო გარემოში პოზიტიური ქცევა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებმა უსაფრთხო და ხელშეწყობაზე ორიენტირებულ გარემოში ისწავლონ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გვინდა გაცნობოთ, რომ ამჟამად აქტიურად ვმუშაობთ მოსწავლეების ქცევის კოდექსის დახვეწაზე და მზად ვართ, დისკუსიაში ფართო სასკოლო საზოგადოებაც ჩავრთოთ.

თქვენი, როგორც მშობლებისა და მეურვეების უკუკავშირი უმნიშვნელოვანესია, ამიტომ გვინდა მოგიწვიოთ პარასკევის დილის შეხვედრაზე რომელიმე ამ თარიღში: **15 ნოემბერს, დილის 9 საათზე** ან **6 დეკემბერს, დილის საათზე.** შეხვედრის დეტალებს თარიღის მოახლოებასთან ერთად გაგაცნობთ.

TEDx LISI LAKE YOUTH

ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ და თბილისის ბრიტანულმა საერთაშორისო სკოლამ TEDxYouth ღონისძიების ჩატარების ლიცენზია მოიპოვეს. ჩვენი პირველი ღონისძიება **TEDxLisi Lake Youth** 2025 წლის **28 იანვარს** გაიმართება. ღონისძიების თემაა Future Forward, რომელიც მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს - მენტალური ჯანმრთელობა, ტექნოლოგიები, სოციალური საკითხები, განათლება, და ა.შ. სპიკერად დარეგისტრირდება შეუძლიათ მე-9 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით მოსწავლეებს.

აპლიკანტების შერჩევის პროცესი ორი ეტაპისგან შედგება:

- პირველ ეტაპზე დაინტერესებული მოსწავლე ავსებს **სარეგისტრაციო ფორმას** 2024 წლის 15 ნოემბრამდე.
- მეორე ეტაპზე მხოლოდ შერჩეული მონაწილეები აგზავნიან მოკლე ვიდეო რგოლს 2024 წლის 3 დეკემბრამდე.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

გამოცხადდა 2024-2025 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა მე-9 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისათვის შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის), მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, უცხოურ ენა და ინფორმატიკა.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ონლაინ 14 ნოემბრის 18:00 საათამდე **ამ ბმულის გამოყენებით:** ჩამოსაშლელ მენიუში მიუთითეთ ბრიტანულ-ქართული აკადემია, შეიყვანეთ თქვენი პირადი ნომერი, დააყენეთ პაროლი და აირჩიეთ საგნები. ოლიმპიადა სამ ტურად იმართება. პირველ ტურს მონაწილეები ელექტრონულად გადიან. ინფორმაცია მეორე ტურის თარიღის შესახებ ცნობილი გახდება პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ.

მაკა ბარამიძე
აკადემიური დირექტორი

ჯოშუა გარნერი
აკადემიური დირექტორის მოადგილე პერსონალური განვითარების მიმართულებით

სოფიო ჟღენტი
აკადემიური დირექტორის მოადგილე კურიკულუმისა და შეფასების მიმართულებით

მარინა ქელიძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მარტინ კეონი
IB საგიპლომო პროგრამის ხელმძღვანელი

თემო ვაშაკიძე
აკადემიური დირექტორის მოადგილე

ლალი გელაშვილი
ქართული მიმართულების ხელმძღვანელი

დადუნა დოლიძე
მშობლებთან უთანხმობის ცენტრის ხელმძღვანელი

ნოემბერი, 2024

British-Georgian Academy